| კანონი | პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი | საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი | შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი | ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 42) |
|---|---|---|---|---|
| კანონის მიზანი | მათ შორის: ... სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით; | საქართველოს ტერიტორიაზე სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება. | პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას.... | შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დადგენა<br>**შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის ამ მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.* |
| ზედამხედველობის ფარგლები | განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ზედამხედველობა, კონტროლი/ინსპექტირება;<br><br>*თუ ობიექტი იმავდროულად მიეკუთვნება „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულირების სფეროს, ობიექტზე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმები განისაზღვრება აგრეთვე ამ უკანასკნელით.* | მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა;<br>მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;<br>მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა. | შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულება და გამოყენება | მონიტორინგი/ინსპექტირება კოდექსის 42-ე მუხლის ფარგლებში |
| ზედამხადველობის ორგანო | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა - მუნიციპალიტეტი. მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობა - აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო ან/და სერტიფიცირებული ექსპერტი;<br>მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს  შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური | შრომის სახელმწიფო ინსპექტორები |
| ზედამხედველობის ორგანოს ინსტრუმენტები | მითითება, შემოწმების აქტი, დადგენილება ჯარიმის დაკისრებაზე,  შეჩერებაზე; ან/და დემონტაჟზე. | მითითება, შემოწმების აქტი, დადგენილება შეჩერებაზე ან/და სანქციაზე | შემოწმების ოქმი, მითითება, გაფრთხილება, ჯარიმა, გადაწყვეტილება/შუამდგომლობა სამუშაო პროცესის შეჩერებაზე | დადგენილება სახდელის დადების უფლებით |
| სამართალდარღვევის სახელი | სამშენებლო სამართალდარღვევა | სამშენებლო სამართალდარღვევა | ადმინისტრაციული სამართალდარღვევა | ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა |
| სჭირდება თუ არა სამუშაოების/მშენებლობის  შეჩერებას ლეგიტიმაცია | არა | არა, შეჩერება განისაზღვრება დადგენილებით | სჭირდება სასამართლოს განჩინება სამუშაოების სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ | არ არის კოდექსით  სამუშაოების შეჩერების შესაძლებლობა განსაზღვრული |
| პასუხისმგებლობა სამუშაოების/მშენებლობის  შეჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში | მაქსიმალური ჯარიმა 50 000 ლარით | მაქსიმალური ჯარიმა 50 000 ლარით | მაქსიმალური ჯარიმა 14 000 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება სახდელის დაკისრებიდან ერთი კალედარული წლის განმავლობაში გამოიწვევს დაჯარიმებას ჯარიმის ორმაგი ოდენობით | არ არის კოდექსით  სამუშაოების შეჩერების შესაძლებლობა განსაზღვრული |
| სად საჩივრდება ზედამხედველი ორგანოს აქტი/დადგენილება | ზემდგომ ორგანოში,  სასამართლოში.  მითითება საჩივრდება დადგენილებასთან ერთად. | ზემდგომ ორგანოში,  სასამართლოში | ზემდგომ ორგანოში,  სასამართლოში | ზემდგომ ორგანოში,  სასამართლოში |
| რა ვადაში საჩივრდება გამოცემული აქტი/დადგენილება | გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში | გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში | შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინება 48 საათში, ხოლო სამართალდაღვევის დადგენილებაზე ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში | ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში |
| შეაჩერებს თუ არა გასაჩივრება აქტის /დადგენილების მოქმედებას? | არ აჩერებს დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში. სხვა ნაწილში ჩერდება კანონით გათვალისწინებული წესით. | არ აჩერებს აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში. სხვა ნაწილში ჩერდება კანონით გათვალისწინებული წესით. | სამუშაოების შეჩერების ნაწილში არ ჩერდება აქტის მოქმედება თუ შეჩერება დამტკიცებულია სასამართლოს განჩინებით. სხვა ნაწილში ჩერდება კანონით გათვალისწინებული წესით. | ისე როგორც სსრკ კოდექსს ეკადრება... |